პროფესიონალი

№71

PROFESIONALI

KOPOS ELECTRO LTD

www. kopos.ge

Tbilisi. 13 Kiziki Str. Office: +995 322 36 81 91

E-mail: info@kopos.ge

5 წელი ქართულ ბაზარზე!

„KOPOS ELECTRO“ გახლავთ ჩეხური კომპანია „OEZ”-ის ოფიციალური წარმომადგენელი ამიერკავკასიაში.

ბაზარზე 70 -წლიანი მუშაობის შედეგად კომპანია „OEZ”-ი, ავტომატური გამომრთველებისა და დამცავების მწარმოებლისაგან გადაიზარდა კომპლექსურ მომწოდებლად, პროდუქციისა და ელექტრონული ჯაჭვების, ასევე დაბალი ძაბვის აღჭურვილობის დარგში.

2007 წლიდან კომპანია „OEZ”-ი გახლავთ SIEMENS ჯგუფის წევრი.

კომპანია „KOPOS ELECTRO“ ამიერკავკასიაში, ელექტრო საინსტალაციო მასალების მწარმოებელ, ჩეხური ჰოლდინგის, „KOPOS KOLIN“ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. „KOPOS ELECTRO“-ს ასევე გააჩნია წარმომადგენლობები სომხეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

კომპანიის პროდუქციის პროგრამას წარმოადგენენ შემდეგი მასალები:

- სამოდულოხელსაწყო (სერია Minia);
- კომპაქტური ავტომატური გამომრთველები (სერია Modeon);
- დამცავი სისტემები (სერია Varius);
- გამანაწილებელი ფარები და კარადები (სერია Distri);
- საკომუტაციო და მმართველი ხელსაწყოები (სერია Conteo.)

კომპანია „OEZ”-ის პროდუქტი წარმატებით გამოიყენება ენერგეტიკის სფეროში, ინფრასტრუქტურაში, მრეწველობასა და მშენებლობაში.

KOPOS

www. kopos.ge

E-mail: info@kopos.ge

თბილისი, ქიზიყის ქუჩა №13, ოფისი: +995 322 36 81 91

პროფესიონალი+



www.prof-news.com

მთ.რედაქტორი:
ელა დუდაევი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
თბილისი, ჰ. ინგოროყვას №6
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

25.03.15.-25.04.15 ფასი 2 ლარი

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

პარლამენტის პლენარული სხდომა

პლენარული სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ტრიბუნა დეპუტატების განცხადებებს დაეთმო. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა, ნუგზარ წიკლაურმა, რამდენიმე დღის წინ ქალაქ ზუგდიდში, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ოფისის დარბევის შესახებ ისაუბრა. ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ისაუბრა მიხეილ მაჭავარიანმა. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლის, გიორგი ხეჩინაშვილის განცხადებით, 24 მარტს მსოფლიო ტუბერკულოზთან ბრძოლის დღეს აღნიშნავს, დეპუტატმა კოლეგებს საქართველოში ამ კუთხით არსებული ვითარების შესახებ გააცნო ინფორმაცია. მისივე ინფორმაციით, საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება. „ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი ამ კუთხით სერიოზულ სამუშაოს ატარებს. მალე განსახილველად წარმოგიდგენთ ახალ კანონპროექტს ტუბერკულოზის შესახებ. საერთაშორისო ჩართულობა არის ძალიან მაღალი. ამ კანონის იმპლემენტაცია სხვა ქმედით ღონისძიებებთან ერთად, შესაძლებელს გახდის, სიტუაცია გახდეს კონტროლირებადი“, - განაცხადა პარლამენტის წევრმა.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, ნოდარ ებანოიძე მიმდინარე წლის მაისში,თბილისში დაგეგმილ EBRD-ის წლიურ შეხვედრასთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლის, ირმა ნადირაშვილის განცხადებას გამოეხმაურა. დეპუტატის განცხადებით, ეს ღონისძიება საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია.

დამოუკიდებელი პარლამენტის წევრმა, გიორგი გაჩეჩილაძემ ყარსში, ტრანს-ანატოლიური მილსადენის მშენებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, ეს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ზრდისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ცნობად მიიღეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ონოფრიშვილის, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ვიქტორ დოლიძის და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის, გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებები გადადგომის შესახებ.

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი კახიანმა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტები - „საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის დავით საყვარელიძის ადგილმონაცვლის ეკა ხერხეულიძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ და „საქართველოს პარლამენტის წევრის გიორგი ოჩიაურისთვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ წარადგინა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ლაშა ხუციშვილმა პირველი მოსმენით განხილვისთვის საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ წარადგინა. როგორც მომხსენებელმა განმარტა, წარმოდგენილი კანონპროექტით, ჩათვლის უფლებით დღგ-საგან თავისუფლდება უძრავი ქონების მიწოდება, რომელიც 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში განხორციელდა, აგრეთვე თუ ეს ქონება 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ ობიექტშია განთავსებული. დგინდება ის პირობებიც, რომლებიც აღნიშნული შეღავათის სარგებლობისათვის უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, ამ შეღავათის გამოყენების მიზნით, 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული ობიექტების ნუსხას მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო განსაზღვრავს. მომხსენებელმა დეპუტატების შეკითხვებსაც უპასუხა. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის, ზურაბ ტყემალაძის შეფასებით, კანონპროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ მნიშვნელოვანია და კოლეგებს მისი მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელთა განცხადებით, მნიშვნელოვანია საშუალო და წვრილი ბიზნესისთვის შეღავათების დაწესება, ასევე, საშემოსავლო გადასახადის შემცირება ფიზიკური პირებისთვის. ფინანსთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის სტანდარტული განაკვეთით დაბეგვრა სამართლიანი არ არის და უახლოეს მომავალში მოგების გადასახადის 5%-მდე შემცირება იგეგმება. „ეს საკითხი აღელვებს ძალიან ბევრ ჩვენს თანამემამულეს, გამომსვლელმა სწორად აღნიშნა, რომ გადასახადების დაწევა იმ ადამიანებისთვის, ვისაც ბინა აქვს გაქირავებული, ძალიან მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება და საბოლოო ჯამში, ბიუჯეტისთვისაც. ეს არის ერთ-ერთი ის შემთხვევა, როდესაც ჩვენ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ნამდვილად ვუჭერთ მხარს ამ ინიციატივას“, - განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა, გიორგი ბარამიძემ.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ალექსანდრე ბარამიძემ, დეპუტატებს მესამე მოსმენით განხილვისთვის საქართველოს კანონის პროექტი „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და თანმდევი კანონპროექტები: "საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ წარუდგინა. წარმოდგენილი ცვლილებით, არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებულ საქმეებს სააპელაციო სასამართლო განიხილავს. ასევე, მცირდება სახელმწიფო ბაჟის ოდენობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განცხადებისა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესახებ საჩივრის განხ-

ილვისათვის და განისაზღვრება 150 ლარით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის/აღსრულების თაობაზე განჩინების გამოტანისთვის განისაზღვრება 30-დღიანი ვადა (ნაცვლად 10 დღისა).

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ნათია მიქელაძემ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს მთავრობასა და ესტონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ" შეთანხმების რატიფიცირების თაობაზე" და საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროპის კავშირსა და მის წევრს სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებაში ხორვატიის რესპუბლიკის ევროპის კავშირში გაწევრიანების გათვალისწინებასთან დაკავშირებით ცვლილების შეტანის თაობაზე" ოქმის რატიფიცირების შესახებ" წარადგინა. ნათია მიქელაძის განცხადებით, ესტონეთი რიგით 27-ე ქვეყანაა, რომელთანაც საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ შეთანხმება ძალაში შევა.

ცვლილება შედის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში". კანონპროექტი პირველი მოსმენით განხილვისთვის დეპუტატებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ნათია მიქელაძემ გააცნო. მომხსენებლის განმარტებით, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების სიას გაზგასამართი სადგური ემატება, ამასთან განისაზღვრება პასუხისმგებლობის ზომები ისეთი ქმედებისათვის, როგორიცაა გაზგასამართ სადგურის ფარული ექსპლუატაცია ანდა ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების დარღვევა, ტექნიკური ინსპექტირების ჩაუტარებლობა, გაზგასამართ სადგურზე მომხდარი ავარიის/უბედური შემთხვევის შესახებ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსათვის შეუტყობინებლობა.

საქართველოს კანონის პროექტი „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" I მოსმენით განხილვისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი მელაშვილმა წარადგინა. პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში, რომლის თანახმადაც საქართველოს ეროვნული ბანკი, თუ არ არსებობს მისი ნორმატიული აქტის დაუყოვნებლივ ამოქმედების საჭიროება, აქტის პროექტს სამართლებრივი დასკვნისთვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უგზავნის.

პლენარულ სხდომაზე საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" და მისი თანმდევი 64 კანონპროექტი მუხლობრივად განიხილეს. „21 მარტი არის დაუნის სინდრომის მქონე პირთა საერთაშორისო დღე და ვფიქრობ, საქართველოს პარლამენტის მიერ ამ კანონების მიღება იქნება დადასტურება იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა რეალურ ნაბიჯებს დგამს საქართველოში ადამიანთა თანასწორობის დასამკვიდრებლად", - განაცხადა მომხსენებელმა, პარლამენტის წევრმა თამარ კორძაიამ. მისივე თქმით, პირველი მოსმენის დროს გამოთქმული შენიშვნების უმეტესობა გაზიარებულ იქნა. კანონპროექტის -„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" მიხედვით, არსებითად იცვლება ქმედუუნარობის ინსტიტუტი (გარდა ასაკთან მიმართებით ქმედუუნარობისა) და მასთან დაკავშირებული რეგულაციები შესაბამისობაში მოდის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან. კერძოდ, ცვლილებით შემოდის ახალი ტერმინები „მხარდაჭერის მიმღები", და „მხარდამჭერი", რომელიც სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში დაიცავს სასამართლოს მიერვე მხარდაჭერის მიმღებად აღიარებული პირის უფლებებსა და ინტერესებს. კანონპროექტი ადგენს, რომ სასამართლოს მიერ მოხდება პირის ინდივიდუალური შეფასება და მხოლოდ ინდივიდუალური შეფასების შედეგად განისაზღვრება, თუ რა სფეროში არის აუცილებელი მხარდამჭერის დანიშვნა. კანონპროექტი აწესრიგებს აგრეთვე მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებას, მის მიერ გარიგების დადებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მონაწილეობის ფარგლებს აღნიშნულ პროცესებში, აგრეთვე, გათვალისწინებულია დებულებები, რომლებიც გარდამავალი პერიოდისათვის განსაზღვრავს კანონპროექტში მოცემული რეგულაციების სრულად ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

პირველი მოსმენით საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენის შესახებ" და თანმდევი კანონპროექტები განიხილეს . საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანის, შალვა თადუმაძის განმარტებით, ხდება საგადასახადო ომბუდსმენის სამსახურის რეორგანიზაცია და ყალიბდება, როგორც ბიზნეს ომბუდსმენის სამსახური. მისივე თქმით, განისაზღვრება ბიზნეს ომბუდსმენის უფლებამოსილებები, საქმიანობის პრინციპები და ფორმები, აგრეთვე მისი დანიშვნის წესი და შეუთავსებლობის საკითხები. კანონპროექტით რეგულირდება ბიზნესომბუდსმენის მიერ განცხადების განხილვის წესები, ასევე, გათვალისწინებულია მის მიერ რეკომენდაციის წარდგენის მექანიზმი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსათვის. კანონპროექტით „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საგადასახადო კოდექსიდან ხდება იმ ნორმის ამოღება, რომელიც ზოგადად არეგულირებს საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტსა და ომბუდსმენის უფლება-მოვალეობებს, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკითხები ახალი სპეციალური კანონით დარეგულირდება. გარდა ამისა, შესაბამის მუხლში „საგადასახადო ომბუდსმენის" ნაცვლად „ბიზნეს ომბუდსმენი" ჩაიწერება. კანონპროექტით „გრანტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" გრანტის მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს ბიზნეს ომბუდსმენიც.

ძლიერი რეგიონები - წარმატებული სახელმწიფო

ღეისათვის, სამცხე-ჯავახეთი ეკონომიკურად საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი რეგიონია. მხარეში ექვსი თვითმმართველი ერთეულია - ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები. ხოლო ცენტრი - ქალაქი ახალციხეა, სადაც სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაა განთავსებული. რეგიონს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია, რაც კარგ პირობებს ჰქმნის მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებისათვის. სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ტრანსკასპიური გაზსადენი და მარაბდა-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა. რთული მემკვიდრეობის მიუხედავად, რეგიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევამ შედეგი მოიტანა და სადღეისოდ წარმატება სახეზეა. ადგილობრივი თვითმმართველობების კოორდინირებული მუშაობის შედეგად გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა, განვითარდა მცირე და საშუალო მეწარმეობა, დაწინაურდა სოფლის მეურნეობა და შეიქმნა ფერმერთა კოოპერაციისა და კონსოლიდაციის მექანიზმები. შესანახი და სამაცივრე მეურნეობები ხელს უწყობს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას, — როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. ტურიზმი ეტაპობრივად ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგი ხდება და რეგიონის რეკრეაციული ზონები უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს დასვენებისა და მკურნალობისათვის უფრო მეტი რაოდენობით იზიდავს. ეს წარმატებები მხარეს მიმზიდველად წარმოაჩენს საერთაშორისო და ადგილობრივი ინვესტორებისათვის. სწორედ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ეკონომიკისა და ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით არსებული მდგომარეობა და განხორციელებული პროექტები გახლდათ ამ მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის, ბატონი **ასპაი მაჯუტაძის** ჩვენთან საუბრის თემა...

— ბატონო აკაკი, როგორ მიმდინარეობს რეგიონის განვითარება?

— სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკური პოტენციალი, მისი გეოგრაფიული მდებარეობა და ტრანსასაზღვრო კავშირების განვითარების პერსპექტივები, იძლევა რეალურ შესაძლებლობას, რომ ეს მხარე საქართველოს ერთ-ერთ ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონად იქცეს. ამის დასტურად, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მრავალი საერთაშორისო თუ ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტი ამოქმედდა. მიმდინარეობს რუსთავის ჰიდროელექტროსადგურის, ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა. 2014 წელს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით 600 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ამუშავდა ზიკილიის ელექტროგადამცემი ხაზი და ფარავანის ჰიდროელექტროსადგური. წელს მოქმედებას დაიწყებს მეორე სასაზღვრო გამშვები პუნქტი თურქეთთან, კარწახის მიმართულებით. ინტენსიურად მიმდინარეობს გაზიფიცირების პროცესი და ბუნებრივ აირს სამცხე-ჯავახეთში დღეისათვის 32 464 აბონენტი ღებულობს. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ელექტროფიცირდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელი უტყისუბანი, სადაც წლების განმავლობაში მოსახლეობას უშუქოდ ცხოვრება უწევდა. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე გამრიცხველიანებულია 11 250 აბონენტი. კერძო ბიზნესის აქტივობით ბოლო ორი წლის განმავლობაში სახეზეა 30 ახალი ობიექტი.

— სოფლის მეურნეობაში რა ვითარებაა?

— მოგეხსენებათ, სამცხე-ჯავახეთი მკვეთრად გამოხატულ აგრარულ კუთხეს წარმოადგენს და ამ დარგში ხელისუფლების მიერ შემუშავებული პროგრამები რეგიონისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. 2013-14 წლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაერთიანებული სამე-

ლიორაციო სისტემების კომპანიამ რეგიონში 2 დიდი პროექტი განახორციელა. წელს დაგეგმილია 9 სარწყავი არხის რეაბილიტაცია. წარმატებულია მცირემიწიან ფერმერთა სახელმწიფო პროგრამა. რეგიონში მოქმედებს ხორცისა და რძის გადამამუშავებელი 34 საწარმო და 36 კოოპერატივი.

— ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროს რაც შეეხება?

— ჩვენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიმართულებით, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობაზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გასულ წელს 4 301 242 ლარი დაიხარჯა. ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსდა ახალდაბადებული ბავშვთა ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ოჯახების, ხანდაზმულების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, სოციალურად დაუცველების კვებისათვის, ხანძრით დაზარალებული ოჯახების და მარჩენალდაკარგულების დახმარება. რეგიონში აშენდა და გარემონტდა 6 ამბულატორია, ხოლო სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი 30%-თ გაიზარდა. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურებს გადაეცათ მაღალი გამავლობის 13 ავტომანქანა, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მოსახლეობის მომსახურების ხარისხი. იძულებით გადაადგილებულ პირებს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართები, და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება

— ტურიზმის კუთხით როგორ გესახებათ რეგიონის პერსპექტივები?

— ჩვენს რეგიონს ტურისტული განვითარების დიდი რესურსი გააჩნია. 2015 წლიდან, საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთში ტურისტული პოტენციალის ამოქმედების პროგრამა დაიწყება. სამხარეო ადმინისტრაციაში განხილული იქნა ექსპერტების მიერ შემუშავებული 14 პროექტი, რომელთა შორისაა აბასთუმნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ზარზმის, სარო-ხიზაბავრის დარბაზების, თმოგვისა და ვანის ქვაბების, ახალქალაქის ციხის, აბასთუმნის ობსერვატორის შიდა გზების მოწყობა, საფარის მონასტერთან მისასვლელი და საირმე-აბასთუმანის გზის რეაბილიტაცია. დაგეგმილია 300 000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება ტურისტული-საინფორმაციო ცენტრების, საინფორმაციო-სარეკლამო დაფების და მანიშნებლების მონტაჟისათვის. ბორჯომში მიმდინარეობს ტყის ინვენტარიზაციისა და ხანძრით გადამწვარი ტყის ფართობის აღდგენა-განაშენიანება, მოეწყო ახალი და რეაბილიტირებულ იქნა მოძველებული სატყეო-სამეურნეო გზები; ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში შეკეთდა რეინჯერთა საგუშაგოები, თავშესაფრები, საპიკნიკე ადგილები. დამონტაჟდა „ჰელიო“ სისტემის განათებები. ახლო მომავალში დაგეგმილია ჯავახეთის დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა ცენტრის გახსნა.

— განათლების სისტემაში რა წარმატებებია?

— გასულ წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 22 საჯარო სკოლას და პროფესიულ კოლეჯს; ამოქმედდა ზ. ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის რეგიონული სასწავლო ცენტრი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. რეგიონის სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებელში, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეები სწავლობდნენ, სპეც-მასწავლებლები დაინიშნენ. განათლების სამინისტრომ წარჩინებული სწავლისთვის კომპიუტერებით დააჯილდოვა რეგიონის 93 მოსწავლე. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტისა და ახალქალაქის უმაღლესი დაწესებულება-კოლეჯის საფუძველზე ჩამოყალიბდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაც რეგიონის მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს ისწავლოს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

— კულტურის სფეროზე რას გვეტყვით?

— სახელმწიფოსგან დიდი ყურადღება ექცევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და შენარჩუნებას. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით წელს დაიწყო ვარძიის უნიკალური კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის 4 წლიანი პროექტი, რომელსაც კოორდინაციას საერთაშორისო ექსპერტები უწევენ. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მხარის მუნიციპალიტეტებს გადასცა კინოჩვენებისათვის საჭირო აპარატურა და ხალხური საკრავები. ამასთანავე, კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ადგილობრივი ბიუჯეტებით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა და ღონისძიებების დაფინანსება. მიმდინარე წელს, მხარის მუნიციპალიტეტებში წარმატებით ჩატარდა „მესხური ფესტივალი“, „ბორჯომ-ქალაქობა“, „ახალციხობა“, „ზარზმობა“, „შოთაობა“, „ჯივანობა“, „ტერიანობა“, „ბაკურიანობა-2015“ და სხვა ტრადიციად ქცეული რელიგიური თუ სახალხო დღესასწაულები.



ახალციხეში აღმშენებლობა არ შეჩერდება

გასულ წელს, საქართველოს პარლამენტმა თვითმმართველობის ახალი კოდექსი დაამტკიცა, რომელმაც მთლიანად ჩაანაცვლა ძველი, მანკიერი სისტემა და დეცენტრალიზაციის რეალური, ახლებური მეთოდი დაამკვიდრა. აღნიშნული რეფორმის შედეგად, ქვეყნის მასშტაბით დაიწყო ქალაქებისა და სოფლების სწორი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, გაიზარდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის დონე და გაუმჯობესდა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი.

ყოველი თვითმმართველი ერთეული ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმვაში სრულიად თავისუფალი გახდა და განვითარების კარგი შანსი გაუჩნდა. ინტენსიურად მიმდინარეობს, როგორც ადგილობრივი ბიზნესის, ისე პოტენციური ინვესტორების მობილიზება, რაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციას, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფას, ბუნებრივ რესურსებზე წვდომას და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მაქსიმალურ მხარდაჭერას გულისხმობს. ახალციხე ერთ-ერთია, ახალი კოდექსის თანახმად თვითმმართველი ქალაქის სტატუსი რომ მიენიჭა, ხოლო ბატონი გიორგი კოპაძე გახდა ქალაქ ახალციხის პირველი მერი, რომელიც მოსახლეობამ პირდაპირი წესით აირჩია. კანონის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის ხელმძღვანელი მთლიანად ორიენტირებულია მოსახლეობის საჭიროებებზე, ახალციხეს კი საკუთარი ბიუჯეტი გააჩნია, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა თავად განკარგავს და ცენტრზე აღარ არის დამოკიდებული. სწორედ ამ გარემოებამ შესაძლებელი გახადა ქალაქის ცხოვრებაში იმ ცვლილებების შეტანა, რომელთა შესახებ, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **გიორგი კოპაძე** თავად გვესაუბრა.

— ბატონო გიორგი, თავდაპირველად პრემიერ-მინისტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე გკითხავთ...

— როგორც მოგეხსენებათ, ახლახან, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეგვხვდა და ქვეყნის წინაშე მდგარ იმ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა, რომელიც რეგიონების განვითარებას აფერხებს. აქცენტი გაკეთდა ბიუჯეტის ათვისებასა და ტენდერებთან დაკავშირებულ ხარვეზებზე. საზოგადოებასთან მეტი კომუნიკაცია, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სამუშაოების დაჩქარება, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება, საკურორტო სეზონისთვის მზადება და საბიუჯეტო შესრულების კუთხით გააქტიურება - ასეთი დავალება მივიღეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან.

— ქალაქი ახალციხე როგორ ხვდება მთავრობის მეთაურის ამ წინადადებას?

- ჩვენთვის მთავარია, რაც შეიძლება სწრაფად დავძლიოთ პრობლემები, რათა მოსახლეობისთვის უმტკივნეულოდ ჩაიაროს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა და წინსვლაზე გადავიდეთ. ამ ეტაპზე მთლიანად კონცენტრირებული ვართ იმაზე, რომ გავააქტიუროთ ეკონომიკური პროცესები, დავაჩქაროთ ინფრასტრუქტურული პროექტების ტემპები და გავუფრთხილდეთ იმ ნდობას, რომელიც ხალხმა მოგვანიჭა. ამ მიმართულებით ახალციხეში მნიშვნელოვანი სიახლეებია. ქალაქის ინფრასტრუქტურაში 2,5 მილიონი ლარია ჩადებული. მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. 9 აპრილის, თამარაშვილის, და ასპინძის ქუჩაზე დასრულდა კორპუსებთან მისასვლელი შიდა გზებისა და ეზოების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. განხორციელდა გვარამაძის ქუჩის მონაკვეთში მდებარე ქალაქში ჩამავალ ხევზე გადასასვლელი ავარიულ ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად ქვეითად მოსიარულეთათვის ბორდიური და მოაჯირი დამონტაჟდა. ვარძიის ჩიხში და ზარზმელის ქუჩაზე მოწესრიგდება გზა და სასმელი წყლის სისტემა. რაბათის ტერიტორიაზე კეთდება ბექა პირველი ჯაყელის ძეგლი, რაც ბიუჯეტს 150 ათასი ლარი უჯდება.



— სიახლეები სოციალური პროექტების მხრივაც გექნებათ...

— ხალხის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ჩვენს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ეს შეეხება სოციალურად დაუცველთა სამედიცინო-სადიაგნოსტიკო გამოკვლევებს და გეგმიური თუ ურგენტული ოპერაციების თანადაფინანსებას, ახალშობილთა ერთჯერად ფულად დახმარებას, ჰემო-დიალეზიით დაავადებულთა დაფინანსებას. პირველი ჯგუფის ინვალიდები, ერთჯერად დახმარებასთან ერთად ყოველთვიურად კომუნალური და სხვა ხარჯებისათვის 20 ლარს მიიღებენ. გარდა ამისა, ვაფინანსებთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მზრუნ-

ველობამოკლებულთა და სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა უფასო სასადილოში კვებაზე მყოფი ოჯახების ერთჯერად დახმარებას, ახალდაქორწინებულ ოჯახებს, ომის ვეტერანებს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და ავღანეთის ომში დაღუპულთა ოჯახებს. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას 1200 მეტი ბავშვი იღებს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და სკოლამდელი დაწესებულებების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

— დიდი მითქმა-მოთქმა იყო „ახალციხის ციხის“ გარშემო

— გასულ წელთან შედარებით, 2015 წელს, ქალაქ ახალციხის ბიუჯეტიდან ციხის დაფინანსება 250.000 ლარით შემცირდა, რამაც შესაბამისად, შტატების შემცირება გამოიწვია. ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომელთა რაოდენობა აშკარად აღემატებოდა საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ რაოდენობას, რაც კანონთან შეუსაბამობაში მოდიოდა, ამიტომ ამ თანამშრომლებთან ხელშეკრულების გაგრძელება აღარ მოხდა. ის თანხა, რაც ციხეს მოაკლდა, ავარიული სახლის რეაბილიტაციაზე, ასპინძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ხიდის რემონტზე და სკვერების მოწესრიგებაზე დაიხარჯა. ვფიქრობ, ციხეს შეუძლია თავისი შემოსავლებით, სწორი მენეჯმენტითა და ფართების გაქირავებით რენტაბელური გახდეს. რაც შეეხება რაბათის ციხის დათვალიერების გაძვირებას, ფასმა მხოლოდ უცხოელი ტურისტებისთვის მოიმატა, ხოლო ახალციხელებისთვის ციხის ტერიტორიაზე შესვლა უფასო იქნება და ამას ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე განვახორციელებთ.

— ახალციხე სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურითაც გამოირჩევა...

— როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთში ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, რომელიც ურბანული, კომუნალური და ტურისტული გარემოს რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაციას ითვალისწინებს. სამუშაოები წელს დაიწყება. ახალციხეში ტოლერანტობის ტურისთვის 3 მილიონი დოლარია გამოყოფილი. პროექტი რაბათის ციხეში სინაგოგის, კათოლიკური, გრიგორიანული და წმინდა სტეფანეს მართლმადიდებლური ეკლესიების იერსახის აღდგენას და რემონტს ითვალისწინებს. გარდა ამისა, ვაპირებთ ახალციხის ტბაზე ერთიანი გასართობი ცენტრის ჩამოყალიბებას. გაკეთდება პლაჟი, ტბაში გაიშვება თევზი და მისი ანკესით ჭერა ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. გაქირავდება ნავები, გაკეთდება კორტი, ღია კაფეები და ტრენაჟორების სისტემა. ყოველივე ამის შედეგად, ვფიქრობ შეიქმნება სერიოზული კომპლექსი, რომელიც ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს დაინტერესებს.

— კიდევ რა პროექტებია წელს პრიორიტეტული?

— ჩვენს ერთ-ერთი პრიორიტეტს, უმუშევრობის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება წარმოადგენს. ამის უზრუნველსაყოფად, ახალციხის მერია ადგილობრივი თუ უცხოელი ინვესტორების მოზიდვას ცდილობს. უახლოეს მომავალში, იგეგმება ადგილობრივი ალაოს მოყვანა, რომელიც ლუდის წარმოებაში ფართოდ გამოიყენება. ამ პროექტის ფარგლებში. დაახლოებით 800 კაცი იქნება დასაქმებული. გარდა ამისა, ახალციხეში შეიქმნება სამკურნალო მცენარეების საწარმოო და საშრობი მეურნეობა. სადაც ასევე 250 ჩვენი თანამოქალაქე დასაქმდება ხოლო ამ პროექტში, 2.5 მილიონი ლარი ჩაიდება.

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით?

— მიმაჩნია, რომ ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ქალაქის თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების სრულად გამოვლინება. ამ დღეებში, ახალგაზრდები „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ პროექტის სათათბირო ორგანოს - „ახალგაზრდული საბჭოს“ ფარგლებში გაერთიანდნენ. ამ პროექტს, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ქალბატონი ია ანთაძე ხელმღვანელობს და დარწმუნებული ვარ, მისი დახმარებით ახალგაზრდებისა და ქალაქის მერიის ინსტიტუციური თანამშრომლობა აუცილებლად შედგება.

ვეცდებით მოსახლეობას ცხოვრების პირობები გავუუმჯობესოთ

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული რეგიონული განვითარების პროგრამა კონკრეტულად განსაზღვრავს ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის ძირითად მიზნებს, შესაბამის პრიორიტეტებსა და ღონისძიებებს. ადგენს საჭირო პირობებს დაბალანსებული და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. დღეისათვის, პროგრამის განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, სწორედ ეს მიმართულებები წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც კოორდინირებულია რეგიონულ დონეზე და ეფუძნება შემდგომი განვითარების პრიორიტეტებს. დღევანდელი ფინანსური სტაგნაციის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეულ მუნიციპალიტეტებში მიმდინარე პროცესებს და ადგილობრივი გამგეობების საქმიანობას, რამაც მეტნაკლებად უნდა შეამციროს მოსახლეობაში არსებული არასტაბილურობის განცდა და პესიმისტური ფონი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბორჯომის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და გამორჩეულია. რაიონის კულტურული და რეკრეაციული რესურსები არა მხოლოდ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე მეტყველებს, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისინი წარმოადგენენ დასაქმების პოტენციალის და ეკონომიკური პროდუქტიულობის გაზრდის შესაძლებლობას, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურისტებისთვის განკუთვნილი მომსახურებით. მუნიციპალიტეტში უამრავი სიახლეა – ეკონომიკური, გარემოსდაცვითი. კულტურული მემკვიდრეობის, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელების მიმართულებით. აქტიურად მიმდინარეობს წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება ეკონომიკური განვითარების მიზნით ინვესტიციების დაგეგმვის და ინვესტორებთან თანამშრომლობის საკითხებზე. ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **დიმიტრი ყიფიანი** სწორედ ამ საკითხებზე გვესაუბრა.

– ბატონო დიმიტრი, რა სიახლეებია რაიონში?

– უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენი ძალისხმევით, რაიონში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა. ამ კუთხით გამოყოფილი დაფინანსების ძირითადი ნაწილი ხმარდება გზების, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების, ხიდების, საკანალიზაციო ქსელის, სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, სკვერებისა და ბაღების რეაბილიტაციას, გარე განათების მოწყობას. ახლახან, ჩვენი ინიციატივით ჩატარდა ისტორიული ძეგლის - „გოგიას ციხის“ განათებასთან დაკავშირებული სამუშაოები. განათება დამონტაჟდა, ასევე ქალაქ ბორჯომის შემოსასვლელში არსებულ სტელაზე და თიბისი ბანკის მიმდებარედ არსებულ გვირაბში. განათდა წმინდა გაბრიელ აღმსარებლის ხატი. ყვიბისში დაიწყო ე.წ. შუბითიძეების უბანში არსებული ხიდის სრული რეაბილიტაცია. ახალშენის დასახლებაში, ე.წ. ცოფიან ღელეზე, მიმდინარეობს ახალი რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობა. ამ ეტაპზე ხდება ჯებირის საძირკვლების ამოღება და ყალიბის მომზადება ბეტონის ჩასასხმელად. ბაკურიანის, ბორჯომის და ახალდაბის გზებს ჩაუტარდათ რეაბილიტაცია. გარდა ამისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ლიკანში "რიქსოსის" ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსი გახსნა. სასტუმროს 9 სართულზე 151 ნომერია განთავსებული. კომპლექსი დასვენებისთვის აუცილებელი თანამედროვე ინფრასტრუქტურით არის აღჭურვილი და საკონფერენციო დარბაზებს, ჩოგბურთისა და ფეხბურთის სათამაშო მოედნებს, საცურაო აუზს და სატრენაჟორო დარბაზს მოიცავს.

– სოციალური კუთხით რა სიახლეებია?

– ჩვენი გადაწყვეტილებით, ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლისა და ბორჯომის სასპორტო სკოლის მოსწავლეების ყოველთვიური გადა-

სახადი მუნიციპალიტეტის მიერ სრულად ანაზღაურდება. შეკვეთილია 4 ახალი ავტობუსი, ხოლო ბორჯომის რაიონის მასშტაბით მუნიციპალური მგზავრობის საფასური - განახევრდა. ბორჯომში, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე და ლიკანში არსებულ საბავშვო ბაღებში მოხდა ცენტრალური გათბობის გაკეთება, ჩატარდა კაპიტალური რემონტი და განხორციელდა სათამაშო, სამზარეულო და საყოფაცხოვრებო ინვენტარის შეცვლა. დანარჩენ ბაღებთან დაკავშირებით ასევე მიმდინარეობს მუშაობა და გამოცხადებულია ტენდერები.

აქვე მოგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ შემუშავებულია 16 სოციალური პროგრამა, რომლებიც ითვალისწინებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, გარკვეული შეღავათებით უზრუნველყოფას, მორალურ და ფსიქოლოგიურ თანადგომასა და ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას.

პროგრამები ითვალისწინებს, როგორც ყოველთვიურ ასევე ერთჯერად დახმარებას ბენეფიციარებისათვის. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ყოველთვიური დახმარებებით სარგებლობენ 4 და მეტ შვილიანი ოჯახები, 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვები, 18 წლამდე ასაკის შშმ ბენეფიციარები, ღვაწლმოსილი სტატუსის მქონე პირები, 100 წელს გადაცილებული ადამიანები, და ა.შ. მუნიციპალიტეტი ერთჯერად დახმარებებს გასცემს შვილის შეძენასთან დაკავშირებით და ახალდაქორწინებულ ოჯახებზე. ასევე წელიწადში 2-ჯერ (ახალი წელი, აღდგომის დღესასწაული) 450 სოციალურად დაუცველი ბენეფიციარისათვის გაიცემა 100 ლარის ღირებულების პროდუქტები, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მიერ ხდება მოსახლეობის სტაციონარული და მედიკამენტოზური მომსახურების დაფინანსება.

— სოფლის მხარდაჭერის პროგრამა როგორ მიმდინარეობს?

— სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუდმივად ვხვდებით სოფლის მოსახლეობას. შეხვედრები მიზნად ისახავს მათი და ადგილობრივი მთავრობის დაახლოებას, პრობლემების ადგილზე გაცნობასა და მათი მოგვარების სათანადო გზების დასახვისას ხალხის მაქსიმალურ ჩართულობას. ამ შეხვედრების დროს ყურადღება მახვილდება იმ მნიშვნელოვან პროექტებზე, რომლებიც სოფლებში უახლოეს მომავალში განხორციელდება. აღსანიშნავია, რომ შეხვედრები დიალოგის ფორმატში იმართება, რომლის დროსაც მოსახლეობას საშუალება ეძლევა ისაუბროს მისთვის მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხებზე და თავად გადაწყვიტოს კონკრეტულად, თუ რომელი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისათვის გამოიყენებს სოფლის პროგრამით გამოყოფილ თანხებს. ამ ეტაპზე შეხვედრები დასასრულს უახლოვდება. ვფიქრობ, რომ ამ პროცესებმა ნაყოფიერად ჩაიარა, გამოიკვეთა ის პრიორიტეტები, რომელთა მოგვარებაც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში უახლოეს მომავალში დაიწყება.

— რაც შეეხება კულტურას და განათლებას?

— საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივითა და ჩვენი მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით ახლო მომავალში ბორჯომში სალოტბარო სკოლა გაიხსნება. მისი ამოქმედება ხელს შეუწყობს უნიკალური ქართული სიმღერებისა და ქართული ტრადიციული გალობის აღდგენა-გადარჩენას, პოპულარიზაციას, ქართული ფოლკლორის ნიმუშების მოძიებასა და მოვლას. სალოტბარო სკოლაში მოსწავლეები, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სპეციალური პროგრამით, უფასოდ შეისწავლიან ქართულ ხალხურ სიმღერასა და ტრადიციულ გალობას. სკოლის დამთავრების შემდეგ კი წარჩინებული მოსწავლეები სწავლას გააგრძელებენ თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის უმაღლეს სასწავლებელში. გარდა ამისა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით 21-22 თებერვალს,,ბაკურიანობა 2015 “ გაიმართა, რომელიც ტრადიციულია და ყოველ წელს აღინიშნება. ორდღიანი პროგრამის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები. ზეიმს, ადგილობრივების გარდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრებიც შეუერთდნენ. „ბაკურიანობა 2015“ დასრულა გალა-კონცერტმა, სადაც ამ დღესასწაულისათვის თბილისიდან მოწვეულმა პოპულარულმა სოლო მომღერლებმა და ჯგუფებმა მიიღეს მონაწილეობა. გარდა ამისა, ვაპირებთ აღვადგინოთ ბორჯომში ქართული თეატრების სტუმრობის ტრადიცია და ქალბატონი ლიანა ისაკაძის მიერ ორგანიზებული კამერული მუსიკის ფესტივალი. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ წელს, თამარის დროს აშენებული „ტიმოთეს უბანს“ 800 წელი უსრულდება და ვაპირებთ კულტურის სამინისტროსა და საპატრიარქოს დახმარებით გრანდიოზული ღონისძიება გავმართოთ.

— სამომავლო პრიორიტეტად რა არის მიჩნეული?

— ვაპირებთ კიდევ უფრო მეტად განვავითაროთ ტურიზმი. გარდა ამისა გავაგრძელებთ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. ბორჯომში იგეგმება ცენტრალური სანაპირო სკვერის რეაბილიტაცია ფალიაშვილის ძეგლამდე, დასრულდება მზეთამზის და ბაკურიანის შიდა გზები. ვამზადებთ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისთვის ტენდერს, რომელიც უახლოეს მომავალში კურორტ ცემის შიდა გზების რეაბილიტაციას მოიცავს. ასევე მოვაგვარებთ ყვიბისში წლების განმავლობაში არსებულ სასმელი წყლის პრობლემას. რაიონის მასშტაბით აშენდება სპორტული მოედნები, სკვერები, მოსაცდელები და ხიდები. აღმშენებლობა უწყვეტად გაგრძელდება და ვეცდებით ჩვენი საქმიანობით მოსახლეობას ოდნავ მაინც გავუუმჯობესოთ ცხოვრების პირობები.

ადიგენში გამოცოცხლება შეინიშნება

საქართველოს მთავრობა, უკვე წლებია, მსოფლიოს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ქვეყნისთვის მნიშვნელოვან არაერთ პროექტს ახორციელებს. ამ თანამშრომლობის მიზანია ხელი შეეწყოს თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას. სტიმული მისცეს, როგორც მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას, ასევე ბიზნესის განვითარების მიზნით ტექნიკური დახმარების გაწევას. საგულისხმო ფაქტია, რომ სამცხე-ჯავახეთში, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები სწორედ მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდება და ურბანული, კომუნალური თუ ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაციას გაითვალისწინებს. რეგიონში სამუშაოები 2015 წელს დაიწყება და 2020 წელს დასრულდება. თუმცა მანამდე, მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თანამშრომლები, რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა და განახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტების სამუშაო ვერსიების საჯარო განხილვებს მართავენ. ადიგენის რაიონი სრულყოფილად იქნება ჩართული ამ პროექტებში და ბოლომდე გაიზიარებს ინფრასტრუქტურულ თუ სოციალურ-ეკონომიკურ სიახლეებს. სწორედ ამ მიმართულებით რაიონში არსებულ პერსპექტივებზე და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ზაქარია ენდელაძე,**

— ბატონო ზაქარია რა ვითარება იყო რაიონში და დღეს რა სიახლეებია?

— რაიონში ერთობ სავალალო მდგომარეობა დამხვდა. ადიგენის მუნიციპალიტეტის განადგურებული და გაპარტახებული ინფრასტრუქტურის აღდგენას და ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევას, ალბათ წლები დასჭირდება. მთავარია სწორად განვსაზღვროთ რაიონის განვითარების პრიორიტეტები. ამ ეტაპზე სიახლეები გვაქვს ინფრასტრუქტურულ სფეროში. 11 კილომეტრიანი გზის მონაკვეთის მშენებლობა დაიწო სოფელ მოხეს მიმართულებით. კახარეთში დასრულდა ხიდის სამშენებლო სამუშაოები. დაბა ადიგენში, თერისთავისა და იგიგოლაშვილის ქუჩებზე ჩატარდა საგზაო ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები. ასფალტი დაიგო ვარხანი-წახანი და ადიგენი-ზანავის გზის მონაკვეთებზე. მოასფალტების პარალელურად განხორციელდა სანიაღვრე არხების მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მიმდებარე შენობების დატბორვისა და დაზიანების რისკს. ჩატარდა ზანავიდან ჭულეს მიმართულებით მიმავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები და გზის გამაგრების მიზნით, მეწყერსაწინააღმდეგო გაბიონები მოეწყო. ამ გზის ექსპლუატაცია მნიშვნელოვანი და აუცილებელია ჭულეს მონასტერისა და ადგილობრივი მრევლისათვის. ამასთანავე, უსაფრთხო გზა ხელს შეუწყობს ქართველი და უცხოელი ტურისტების თავისუფალ გადაადგილებას. გარდა ამისა, კაპიტალურად გარემონტდა რაიონული ბიბლიოთეკა და მუსიკალური სკოლა. აღსანიშნავია, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტში, გასულ წელს სტიქიით მიყენებული ზარალი ანაზღაურდა, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 580 000 ლარი გამოიყო. მოსახლეობას გადასახური მასალა - მოთუთიებული, გოფრირებული თუნუქი, მინა და საკვები პროდუქტი (ფქვილი, მაკარონი, ზეთი, შაქარი, ლობიო) დაურიგდა. ადგილობრივი მოსახლეობა სახელმწიფოს რეაგირებით კმაყოფილია და მომხდარს უპრეცენდენტოს უწოდებს.

— სოფლის მხარდაჭერის პროგრამით რა კეთდება?

— გასულ წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ადიგენის მუნიციპალიტეტში 547 067 ლარი გამოიყო. ფინანსები მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელებულ სხვადასხვა პროექტებზე დაიხარჯა. რიგ სოფლებში თანხა „რიტუალების სახლის“ კეთილმოწყობას და საჭირო ინვენტარით აღჭურვას მოხმარდა, განახლდა სასმელი წყლის სისტემები და მოეწყო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტი.

— როგორც ვიცით, საბოლოოდ გადაწყდა აბასთუმნის რეაბილიტაციის საკითხი...

— პირადად ჩემთვის, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი აბასთუმნის რეაბილიტაციაა. ზღვის დონიდან 1250 - 1450 მეტრის სიმაღლეზე მდებარე კურორტის აღდგენას, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთის იმპერატორის და მისი ოჯახის დასასვენებელი ადგილი იყო და „კავკასიის მარგალიტს“ უწოდებდნენ, ადგილობრივები დიდი სანია ელოდებიან. ეს უნიკალური კურორტი წლების განმავლობაში მიტოვებული იყო და ნადგურდებოდა. მართალია, წინა ხელისუფლების პერიოდში, ყოფილი პრეზიდენტი აკეთებდა განცხადებებს, თითქოს გერმანელმა არქიტექტორებმა უკვე დაამზადეს აბასთუმნის რეაბილიტაციის პროექტი, დღე-დღეზე დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები და რამდენიმე თვეში დასრულდებაო, მაგრამ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. მსგავსი პროექტი საერთოდ არ არსებობდა და მხოლოდ ჩვენი ინიციატივის შედეგად ჩაიდო მსოფლიო ბანკთან ხელშეკრულებაში. ყველანი ვაცნობიერებთ ამ კურორტის უნიკალურობას და განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც რეგიონისთვის, ასევე ქვეყნისათვის. გარდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა, აღდგენილი აბასთუმანი ადგილობრივებისთვის გაუმჯობესებულ ცხოვრებასაც ნიშნავს, რადგან სეზონზე ბინების გაქირავება უმრავლესობისთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა. თუმცა არასახარბიელო პირობების მიუხედავად დამსვენებლების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. სასიხარულოა, რომ პარალელურად განხორციელდება კერძო ინვესტიციები. კურორტზე, რომელიც ილიას უნივერსიტეტის პატრონაჟის ქვეშ იყო, ბატონი ლაშა პაპაშვილი რამოდენიმე პროექტის განხორციელებას და მათ შორის 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას გეგმავს.

— სოციალურ და ჯანდაცვის სფეროში რა სიახლეებია?

— მუნიციპალიტეტში მოქმედებს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი რაიონული საავადმყოფო, ახლახან გადმოგვეცა სამედიცინო მომსახურების ახალი მანქანები. სოფელ ზანავში გაიხსნა პირველადი სამედიცინო მომსახურების პუნქტი, ამბულატორია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო კადრებითა და ინვენტარით არის აღჭურვილი.. მუნიციპალიტეტში წარმატებით მოქმედებს სოციალური დახმარების რამოდენიმე პაკეტი. გარდა ამისა, ბიუჯეტში 100 000 ლარია ჩადებული გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის. გაორმაგებულია ერთ მოსახლეზე გამოყოფილი შეშის რაოდენობა და ის 7-ის ნაცვლად, 15 კუბურ მეტრს შეადგენს. ამას წინათ, სამცხე-ჯავახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორ, ბატონ აკაკი მაჭუტაძესთან ერთად საზეიმო ვითარებაში გავხსენით ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. 70 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღის შენობა ერთ სართულიანია და ორი საბავშვო ჯგუფისათვის არის განკუთვნილი. ბაღის მშენებლობისთვის ადგილობრივ ბიუჯეტიდან 201 101 ლარი გამოიყო. ასევე თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული ბაღი ავაშენეთ სოფელ ზარზმაში. გარდა ამისა, რაიონში დავაწესეთ მოსაკრებლები სამშენებლო და საწარმოო ნებართვებზე, რაც დამატებით შემოსავალს მოგვიტანს და მოსახლეობას სოციალური დახმარების კუთხით კიდევ უფრო დაეხმარება.

— სამომავლო გეგმებზე რას იტყვით?

— ჩვენი რაიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადიგენი–ბათუმის დამაკავშირებელი გზის სრული რეაბილიტაცია და სრული დატვირთვით ამუშავება, რათა მოსახლეობას დოვლათის გატანა-შემოტანის საშუალება გაუიოლდეს და რაიონი გახდეს გამტარუნარიანი. მიმდინარე წელს დაგეგმილია ახალციხე-ადიგენის დამაკავშირებელ გზაზე 8 კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე ასფალტის დაგებას ვგეგმავთ სოფელ ადიგენში, პატარა სმადაში და ქვემო ენთელიდან ოქროსციხის მიმართულებით.. სასიხარულოა, რომ ზეკარის უღელტეხილზე საგზაო სამშენებლო სამუშაოები უკვე დაწყებულია და გრუნტის გზა კეთდება, რომელიც აბასთუმნამდე ჩამოვა. ასევე ჩვენი ერთ-ერთი სამომავლო პრიორიტეტია სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემის სრული რეაბილიტაცია. სოფლებში წყლის სათავე ნაგებობის ხარჯთაღრიცხვა უკვე დაგვიფინანსდა და 100%-იან გამოხმაურებას ველით. პროგრესი ყველა მიმართულებით აშკარად შეინიშნება. ჩვენი მოსვლიდან დღემდე დაახლოებით 230-მდე ხელშეკრულება გვაქვს გაფორმებული, რომელთაგან 150-ზე მეტი სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეა გათვლილი. ვფიქრობ, ამ გეგმების განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს დიდი ნაბიჯი გადავდგათ რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ.

საქართველოში ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევები ცხადყოფს, რომ ლარის არამყარი მდგომარეობისა და ეკონომიკაში წარმოშობილი ხარვეზების მიუხედავად, რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება და სოფლის მეურნეობა კვლავ მთავარ პრიორიტეტებად რჩება. უკანასკნელ პერიოდში, ქვეყნის მთავრობამ მეტნაკლებად დაძლია ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი და ამოცანად კონკრეტული რეგიონების შემდგომი განვითარება დაისახა. ამის მისაღწევად მუშაობა რამდენიმე მიმართულებით გრძელდება - დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება და ინფლაციის დონის დარეგულირება, ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად და ეკონომიკური სტაგნაციის საბოლოოდ დასამარცხებლად საქართველომ კვლავაც უნდა გააგრძელოს ძალისხმევა, სხვადასხვა სფეროებში კონკურენტული უპირატესობების განვითარების მიზნით. თავისუფალი ეკონომიკის კურსი უზრუნველყოფს პერიფერიების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რაც მოქალაქეებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს მისცემს შესაძლებლობას, სრულად გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი. ამ საკითხების მოგვარება მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის აქტიური თანამშრომლობის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ახალქალაქის რაიონში კარგად ესმით თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ნებისმიერი მუნიციპალური ერთეულის როლი ქართული სახელმწიფოს განვითარების საერთო საქმეში და მზად არიან საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის წარმატებებს ბოლომდე მოახმარონ. შესაბამისად, აქტიურად განიხილება ფერმერთა პრობლემები და მათი წახალისების საკითხები. დღის წესრიგში დგას ინფრასტრუქტურული და საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია. ფაქტია, რომ ამ სექტორში არსებულ სიახლეების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობას მთელი რეგიონის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **ედუარდ აღასარიანი** მიმდინარე საკითხებზე და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე გვესაუბრა.

ყველა სიახლე ჯეთილდღეობის მომტანი უნდა იყოს

— ბატონო ედუარდ, რა სიახლეებია მუნიციპალიტეტში?

— დასახული გეგმის მიხედვით ვახორციელებთ ინფრასტრუქტურულ, სოციალურ და სასოფლო-სამეურნეო პროექტებს. აღსანიშნავია რომ 2013 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობს ქალაქის ქუჩების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები. მიმდინარე წელს, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსდება ახალქალაქის 3 კილომეტრამდე გზის რეაბილიტაცია. მსგავსი საქმიანობის განხორციელება, უსახსრობის გამო, სოფლებში ამ დრომდე არ ხერხდებოდა, თუმცა წელს ამ მხრივაც სიახლეა. დაგეგმილია ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფლის, დილისკაში მისასვლელი გზის მოასფალტება. გარდა ამისა 2015 წელს დასრულდება სამსარი-კოთელიის 14 კილომეტრიან სასმელი წყალგაყვანილობის მონაკვეთის მშენებლობა. აქვე ავღნიშნავ, რომ ახალქალაქი და მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლები 24 საა-

თიანი წყალმომარაგებით არის უზრუნველყოფილი. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 64 სოფლიდან ბუნებრივი აირი 42 სოფელს მიეწოდება.

— საერთო ეკონომიკური ვითარება როგორია?

— როგორც მოგეხსენებათ, ახალქალაქის რაიონის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს,

რომელშიც მოსახლეობის უმეტესობაა ჩართული. ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეფორმის შემდეგ მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გაუნაწილდა საკუთრებაში 1.21 ჰა მიწა. სოფლებში ძირითადად მოსახლეობა აწარმოებს კარტოფილს და მარცვლეულს. ახლახან მივიღეთ სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რომელიც მოსახლეობას, დაზუსტებული სიების მიხედვით, უახლოეს დღეებში შეუფერხებლად მიეწოდება. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში მოქმედებს ათეულობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და ასოციაცია, ხორცის და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოები.

— ზოგადი სოციალური ფონი როგორია?

— შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. ამასთან ერთად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, ვითვალისწინებთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის დახმარებებს, რადგან ჩვენი თანადგომა ხშირად გადამწყვეტი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. წელს, შესაბამისი სამსახურის მიერ გათვალისწინებულია სოციალური პაკეტები მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, ახალშობილების, მრავალშვილიან ოჯახთა ბავშვების და ინვალიდების დასახმარებლად.

— რამოდენიმე დღის წინ იუსტიციის მინისტრი გსტუმრობდათ...

— ქალბატონი თეა წულუკიანი მაჟორიტარ დეპუტატებთან და მხარის გუბერნატორთან ერთად გვესტუმრა. ახალქალაქის მოსახლეობას შეხვდა, ადგილობრივთა პრობლემებს გაეცნო და ეთნიკურად სომეხ სამ მოქალაქეს პირადად გადასცა საქართველოს მოქალაქის პასპორტი. იუსტიციის მინისტრის ვიზიტს წინ უძღოდა სამუშაო შეხვედრა ახალქალაქის მაჟორიტარ დეპუტატთან, ბატონ სამველ პეტროსიანთან, რამაც საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და დეპუტატის ადგილობრივ ბიუროს შორის ნაყოფიერ თანამშრომლობას. ამის შედეგად, ასეულობით ადამიანის ინდივიდუალური პრობლემა გაცილებით ეფექტურად გვარდება და ახალქალაქში რეგისტრირებული სომხეთის მოქალაქეების აბსოლუტურ უმრავლესობაზე ბინადრობის მოწმობები მასობრივად გაიცემა. ხოლო, შესაბამისი მიმართვის შედეგად, რამოდენიმე მათგანმა საქართველოს მოქალაქეობა მიიღო. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმის, რომ ჩვენ, ადგილობრივი თვითმმართველობა და ცენტრალური ხელისუფლება, ურთიერთთანამშრომლობით და შეთანხმებული მუშაობით, ყველა ღონეს ვხმარობთ რომ მოსახლეობამ სრულად იგრძნოს ჩვენი თანადგომა.

— და ბოლოს, სპორტის და კულტურის სფეროში რა სიახლეებია?

— ვცდილობთ გვერდში დავუდგეთ და დასახული მიზნების განხორციელებაში, ფინანსური და ადამიანური თანადგომა გავუწიოთ იმ დარგებს, რომელიც მომავალი თაობის ფიზიკურ და სულიერ აღზრდას ემსახურება. დღეისათვის ქალაქში მოქმედებს ჭადრაკის და სპორტის სკოლები. სპეციალიზირებულ სპორტული კომპლექსში ფუნქციონირებს ფეხბურთის, ხელბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, კარატეს, რაგბის, თავისუფალი ჭიდაობის, მინი ფეხბურთის, კრივის და ფრენბურთის სექციები. ახალქალაქში განსაკუთრებით პოპულარულია კრივი და საერთაშორისო ტურნირებზე ჩვენი რაიონის წარმომადგენლები მუდამ მაღალ საპრიზო ადგილებს იკავებენ. ვფიქრობ, რომ კრივში საქართველოს იუნიორთა ჩემპიონატი, რომელიც ახალქალაქში ამ დღეებში ჩატარდა, სპორტის ამ სახეობას კიდევ უფრო წარმატებულს და მასობრივს გახდის. რაც შეეხება კულტურულ ცხოვრებას, ყოველწლიურად, ივნისის თვის ბოლო შაბათს, სახალხო აშუღის - ჯვივანის მშობლიურ სოფელში კარწახში სახალხო ზეიმი „ჯვივანობა“ იმართება, რომელსაც კულტურის, ლიტერატურის და ხალხური თვითშემოქმედების გამოჩენილი მოღვაწეები ესწრებიან საქართველოდან და სომხეთიდან. ასევე კულტურის სახლთან არსებული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები მონაწილეობას იღებენ ქვეყნისა და საერთაშორისო ფესტივალებში.

მეამაყება, რომ ასპინძაში საბავშვო თეატრის ჩამოყალიბება უშუალოდ ჩემი ინიციატივაა

ამ სოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკა მუდმივი ტრანსფორმაციის პერიოდში იმყოფება. შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკა და რეფორმები წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. დღეს საქართველოს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება მართებული გადაწყვეტილების მიღება, სწორი კურსის არჩევა და საქმისადმი პრაგმატული დამოკიდებულება. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის მიერ უკანასკნელ ხანს გაჟღერებული მესიჯები აშკარად მიუთითებს, რომ ცენტრიდან რეგიონებზე გადანაწილებული პასუხისმგებლობა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. დეცენტრალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული ძლიერი მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი ხელმძღვანელობა ქვეყნის სტაბილურობის გარანტი უნდა გახდეს. რეგიონების ინფრასტრუქტურული თუ კულტურული განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, საყოველთაო ჯანდაცვის უზრუნველყოფა და სოფლის მეურნეობის წინსვლა, დღეს სწორედ პერიფერიებზეა დამოკიდებული. ასპინძა განსაკუთრებული სამრეწველო პოტენციალით არ გამოირჩევა, ამიტომ მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების ძირითად წყაროდ კვლავ სოფლის მეურნეობა რჩება. აქედან გამომდინარე, მუნიციპალური განვითარების სტრატეგია ძირითადად სოფლის მეურნეობის სექტორზე, როგორც მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის მომტან ძირითად სფეროზეა კონცენტრირებული. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები პრაქტიკულად სრულად არის ათვისებული. სოფლის მეურნეობის სექტორში მცირე საოჯახო მეურნეობები დომინირებენ, თუმცა მიუხედავად შედარებითი სიმრავლისა ისინი არსებით გავლენას ვერ ახდენენ დარგის განვითარებაზე. უახლოეს მომავალში სურათი, სავარაუდოდ შეიცვლება, რაც ახალი მთავრობის მიერ წამოწყებული რეგიონალური რეფორმების პროექტებზე და ადგილობრივი ხელისუფლების უნარიან მოქმედებაზეა დამოკიდებული. ამ საკითხების განსახილველად, ჩვენ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **ლევან ცაბაძეს** ვესტუმრეთ.



— ბატონო ლევან, რა ცვლილებები განახორციელეთ რაიონში თქვენი დანიშვნის დღიდან?

— გამგებლად 2013 წლის 16 მაისს დავინიშნე. მდგომარეობა ნამდვილად არ იყო სახარბიელო. სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, დასასრულებელი იყო მიმდინარე პროექტები, მისახედი გახლდათ საერთო დისციპლინა და დასარეგულირებელი — ცენტრალურ მთავრობასთან შეთანხმებული სუბსიდირების საკითხები, ხოლო საბიუჯეტო დეფიციტი 400 ათას ლარს შეადგენდა. სასწრაფოდ ჩავატარეთ კადრების რეორგანიზაცია და ახალი გუნდით შევუდექით მუშაობას. ამ ეტაპზე რამდენიმე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტს ვახორციელებთ. გამარტივებული ტენდერი გამოცხადდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ სარო-ხიზაბავრის მისასვლელი გზის რეაბილიტაციის III ეტაპის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო დასკვნის მომზადებასთან დაკავშირებით, რაც გზის ამ ნაწილის მოასფალტებას ითვალისწინებს. დაგეგმილია დაბა ასპინძაში წერეთლის, აღმაშენებლის, ფალიაშვილის, ერისთავის, ვარძიის, ტაბიძის, არაყიშვილის ქუჩებისა და კურორტ ასპინძასთან მისასვლელი გზის საგზაო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის სოფლებში - ორგორაში, საყუდაბელში, ძველსა და ჭობარეთში ასევე მოხდება მისასვლელი გზის მოასფალტება. გამგეობის მიერ შეძენილი იქნა წყლის სატუმბი მოწყობილობა, რომელიც გაასარწყავიანებს სოფელ ივერიაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასპინძის წყლის სატუმბ მოწყობილობას, რომელიც წყალს მდინარე მტკვრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნათესებს მიაწვდის. განხორციელდა არხების გაწმენდითი სამუშაოები. დაბაში ოთხი ხიდი აშენდა და კიდევ ხუთი ერთეულის აგება იგეგმება. ინტენსიურად ტარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები.

— უკანასკნელ ხანს აქტუალური იყო მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების საკითხი...

— მიმდინარე წელს ასპინძაში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია იგეგმება. დაბაში არსებულ ორ საბავშვო ბაღს დაარსებიდან დღემდე არანაირი სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებია, რის გამოც ბავშვებსა და პედაგოგებს

გაუსაძლის პირობებში უწევდათ ყოფნა. იქ არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა აუცილებელ, მინიმალურ სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა. სწორედ ამიტომ, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებულ მუნიციპალური განვითარების ფონდს მივმართეთ. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მსოფლიო ბანკი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სარეაბილიტაციო სამუშაოებს დაახლოებით ერთი მილიონი ლარით დააფინანსებს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან, კი 15 %-იანი თანადაფინანსებაა გათვალისწინებული. ორივე ბაღის რეაბილიტაცია ორ ეტაპად განხორციელდება. ახლადგარემონტებულ საბავშვო ბაღებში შეიქმნება ახალი ჯგუფები, სადაც ასპინძის სოფლებიდან გამგეობის მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით

სრულიად უფასოდ მოემსახურება მსურველებს. ასევე გაიზრდება აღნიშნულ დაწესებულებებში მომსახურე პერსონალთა სახელფასო ფონდიც. ბაღების რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ მოგვარდება ყველა არსებული პრობლემა. მანამდე კი, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და არასამთავრობო ორგანიზაცია მერსიკორპს-ის ერთობლივი ძალისხმევით რეაბილიტაცია უკვე ჩაუტარდა სოფელ რუსთავისა და სოფელ ტოლოშის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს.

— ამჟამად რომელ პრიორიტეტულ მიმართულებებს განიხილავთ?

— მოგეხსენებათ, რაიონის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, რომელშიც მოსახლეობის უმეტესობაა ჩართული. მუნიციპალიტეტში 58 228 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა. მათ შორის სახნავსათესი, სათიბი, საძოვარი, და მრავალწლიანი ნარგავები. მიწის პრივატიზაციის პროცესის შედეგად რაიონის თითქმის ყველა ოჯახს საკუთრებაში დაახლოებით 1,25 ჰამდე რეფორმით მიღებული მიწა გაჩნია. მოსახლეობის 80-90 % მიწათმოქმედებითა და მეცხოველეობით არის დაკავებული. ამიტომ, ვფიქრობ, რომ შესაბამისი პირობების შექმნით, სოფლის გზების მოწესრიგებით, სასმელი და სარწყავი სისტემების გამართვით, ზამთრის საკვების უზრუნველყოფით, საქონლის სულადობის გაზრდით და სხვა ყოფითი საკითხების მოწესრიგებით, მნიშვნელოვნად დავეხმარებით ადგილობრივ მოსახლეობას დოვლათის შექმნაში და შევწყვეტთ შიდა მიგრაციას ქვეყანაში. სწორედ ამ საკითხების მოგვარება იქნება წელს ჩვენთვის პრიორიტეტული.

- ჯანდაცვას და სოციალურ საკითხებს რაც შეეხება...

- როგორც მოგეხსენებათ, ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი რეფორმები მიმდინარეობს. ვფიქრობ, სახელმწიფოში ამოქმედებულმა საყოველთაო დაზღვევის პროგრამამ გაამართლა, თუმცა მისი მოსახლეობამდე სრულყოფილად მიტანის საკითხი ჯერ კიდევ დასახვეწია. რაიონში მოქმედებს რამდენიმე ამბულატორია, თუმცა მათ თანამედროვე აპარატურით აღჭურვა ესაჭიროებათ. წელს მივიღეთ სასწრაფო დახმარების მანქანები. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ერთ-ერთი ამბულატორია ახალ ინვესტორს გადაეცა, რომელსაც მსგავს სფეროში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნია. რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, მატერიალურად ვეხმარებით სოციალურად გაჭირვებული კატეგორიის მოქალაქეებს, ავადმყოფებს, სტუდენტებს, სპორტსმენებს.

— არ შეიძლება ლევან ცაბაძეს სპორტზე არ ვკითხოთ...

— ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები სპორტს მივუძღვენი და მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას დღესაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. ასპინძის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კომპლექსური სპორტული სკოლა, სადაც ახალგაზრდები გაწევრიანებულნი არიან ფეხბურთის, მშვილდოსნობის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული და ქართული ჭიდაობის სექციებში. სკოლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებში. ჩვენმა გამგეობამ მათი ბიუჯეტი წელს 140 ათასამდე გაზარდა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბაზაზე შექმნილია საფეხბურთო კლუბი „არწივები“ და რაგბის ჭაბუკთა გუნდი „ლომები“. უახლოეს ხანში ვაპირებთ დაბა ასპინძაში საჭიდაო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას.

— ცნობილია, რომ თქვენი თაოსნობით მნიშვნელოვან წამოწყებას ჩაეყარა საფუძველი...

— მეამაყება, რომ ასპინძაში საბავშვო თეატრის ჩამოყალიბება უშუალოდ ჩემი ინიციატივა იყო, რის შედეგადაც ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ააპ-ი „თავისუფალი თეატრი“ შეიქმნა. წელს, მათთვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან 14 800 ლარია გათვალისწინებული. თეატრის ხელმძღვანელმა, ლია სულუაშვილმა ახალბედა მსახიობების მონაწილეობით პირველი პრემიერა უკვე გამართა, სადაც მოყვარულმა, პატარა მონაწილეებმა საუკეთესოდ წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები. გარდა ამისა, ასპინძის მუნიციპალიტეტში მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის შექმნილი ცენტრი. იგი რაგბის ბაზაზე მდებარეობს და აუტიზმით და ცერებრალური დამბლით დაავადებულ პატარებს საზოგადოებასთან ინტეგრაციაში ეხმარება.

მოსახლეობასთან შეხვედრებს პერმანენტული სახე აქვს

საზოგადოებასთან მეტი კომუნიკაცია, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სამუშაოების დაჩქარება, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება, საკურორტო სეზონისთვის მზადება და საბიუჯეტო შესრულების კუთხით გააქტიურება, - სწორედ ასეთი დავალება მიიღეს გუბერნატორებმა, მერებმა და გამგებლებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან იმ შეხვედრაზე, სადაც მთავრობის მეთაურმა ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, თითოეული რეგიონისთვის მომზადდება განვითარების გეგმა, სადაც სრულად იქნება ასახული ის პოტენციალი, რომელიც კონკრეტულ რაიონში არსებობს. მოხდება ადგილობრივი ბიზნესის და პოტენციური ინვესტორების მობილიზება. ინიციატივა ასევე გულისხმობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციას, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფას, ბუნებრივ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან მაქსიმალურ მხარდაჭერას. შესაბამისად, რეგიონალური განვითარება, თითოეული მუნიციპალიტეტის და სოფლის დონეზე, გახდება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, ხოლო რეგიონული განვითარების გეგმის საზოგადოებისთვის გაცნობას ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი სამცხე-ჯავახეთიდან დაიწყებს. ნინოწმინდის რაიონში დიდი ინტერესით ელოდებიან მთავრობის მეთაურის ვიზიტს და მზად არიან წარუდგინონ უკვე განხორციელებული და სამომავლო პროექტების ჩამონათვალი. მუნიციპალიტეტის გამგეობაში იმედს იტოვებენ, რომ ზუსტი და მიზანმიმართული მუშაობის შედეგად, უახლოეს დროში გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები, ადგილობრივი პროდუქცია დაბრუნდება შიდა ბაზარზე, შემცირდება უმუშევრობა სოფლად და გაუმჯობესდება რეგიონში მოსახლეობის ცხოვრების პირობები. ნინოწმინდაში ამ მიმართულებით მიმდინარე სამუშაოებზე მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **გაგიკ ყარსლიანი** გვესაუბრა...

— ბატონო გაგიკ, რა სიახლეებით ხვდება ნინოწმინდა პრემიერ-მინისტრის ვიზიტს?

— თანამდებობაზე მოსვლის დღიდან, აქტიურად ვხვდები სოფლის მოსახლეობას და მათ პრობლემებს ადგილზე ვეცნობი, რათა პროექტების განხორციელებისას მათი მოთხოვნა მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. ასეთ შეხვედრებს პერმანენტული სახე აქვს და ძალიან ეფექტურად მუშაობს. ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ სახელმწიფო მათზე ზრუნავს. 2013 წლიდან მოყოლებული, როდესაც ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის მილიონ რვაასი ათასი ლარი გამოიყო, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაო ჩატარდა და წელსაც არაერთი პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი. ამ პერიოდში მოხდა სოფელ ხანჩალის რაიონულ ცენტრთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობა. მაშტოცის, აღმაშენებლის ქუჩების მოასფალტება, დასრულდა შიდა გზების რეაბილიტაცია სოფლებში სათხა, სპასოვკა, ხანჩალი, მამწვარა, გონდრიო და ყულალისი. გასულ წელს დავასრულეთ 7 კილომეტრიანი საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია, შეიძლება ითქვას, რომ საფუძვლიანად გაიმართა ქსელი, რაც საბჭოთა დროიდან იყო



მოუგვარებელი. პრაქტიკულად დასრულებულია გაზიფიკაციის პროცესი. დარჩენილია მხოლოდ სამი ტერიტორიული ერთეული: გორელოვკა, ფოკა და ტამბოვკა, სადაც ბუნებრივი აირის შეყვანის სამუშაოები სავარაუდოდ თვის ბოლოდან განახლდება.

— მუნიციპალიტეტში მუდამ მწვავედ იდგა სასმელი წყლის საკითხი...

— ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, გასულ წელს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობას მიმართა, თუმცა მათგან საიმედო პასუხი ვერ მიიღო, რადგან საკითხის მოსაგვარებლად სათანადო თანხები არ გააჩნდათ. ჩვენი გათვლებით პრობლემის მოგვარებას არც ისე დიდი სახსრები სჭირდება, თუმცა მხოლოდ ნინოწმინდის ადგილობრივი ბიუჯეტით სასმელი წყლის სისტემის აღდგენა შეუძლებელია. კიდევ ერთხელ მივმართავთ ცენტრალურ ხელისუფლებას, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, გულისყურით მოეკიდონ ადგილობრივების პრობლემას და დაგვეხმარონ სასმელის წყლის სისტემის რეაბილიტაციაში.

— გაზაფხულის სეზონს როგორ შეეგებეთ?

— გაზაფხულის დადგომისთანავე განახლდა სოფლების შიდა გზების აღდგენის პროცესი და ამისათვის სოლიდური თანხები იხარჯება. თუმცა ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რაც სეზონზე მიწების დამუშავებისას ადგილობრივ მოსახლეობას ექმნება, ეს ტექნიკის ნაკლებობაა. იმისათვის, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწებით მდიდარ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სახნავ-სათესი მიწის ფართობების მაქსიმალურად ათვისება მოხდეს, აუცილებელია ტრაქტორების პარკის განახლება და ტექნიკის რაოდენობის გაზრდა. რაიონში შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს და თუკი მთავრობის დახმარება იქნება, მოსავლიანობა მნიშვნელოვნად მოიმატებს, რაც პირდაპირ აისახება ხალხის კეთილდღეობაზე. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტში მონაწილე ფერმერებისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ჩვენს მუნიციპალიტეტს უკვე გადასცა ხვნის ბარათები, რომლებიც გათვალისწინებულია იმ ბენეფიციარებისთვის, ვის საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილი სახნავი მიწის ჯამური ფართობი 1,25 ჰა-ს არ აღემატება. ფერმერებს ბარათის აღება გამგებლის წარმომადგენლებთან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში პირადობის მოწმობის წარდგენისთანავე შეუძლიათ.

— სოციალური პროექტების მხრივ რა მდგომარეობაა?

— საკრებულოსთან შეთანხმებით, სოციალური პაკეტების მიხედვით, გაჭირვებულ ოჯახებზე ხდება ერთჯერადი დახმარებების გამოყოფა. ფინანსდებიან მშობიარე დედები, პირველი ჯგუფის ინვალიდები, ონკოლოგიური დაავადების მქონე და სამამულო ომის მონაწილე პირები. მუნიციპალიტეტი ამ პროექტებს 250 000 ლარით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ერთად შესწავლილი იქნა საბავშვო ბაღების მდგომარეობა, რამაც ერთობ სავალალო შედეგი აჩვენა. ამის შედეგად, გარემონტდა სამი და გეგმაშია ამდენივე სკოლამდელი დაწესებულების რეაბილიტაცია. ამ ხარჯებისთვის, დამატებით, 160 ათას ლარია გათვალისწინებული

— როგორც ცნობილია, ნინოწმინდის რაიონში მცხოვრებ სომეხი ეროვნების მოქალაქეების ნაწილს პრობლემები შეექმნათ...

- გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში და მათ შორის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტშიც უმუშევრობის დონე მაღალია და დასაქმების პრობლემა მწვავედ დგას, ადამიანები იძულებულნი გახდნენ იმ ქვეყნების მოქალაქეობა მიეღოთ, სადაც მათ სამუშაოს მოძებნა გაუადვილდებოდათ, თუმცა ამან მათთვის საქართველოს მოქალაქეობის ავტომატურად ჩამორთმევა გამოიწვია. ჩვენმა მაჟორიტარმა დეპუტატმა, ენზელ მკოიანმა ეს საკითხი დროულად დააყენა და მოხარული ვარ, რომ ხელისუფლებაში სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, პრობლემა მოგვარდა და ეს იუსტიციის მინისტრის, ქალბატონი თეა წულუკიანი სტუმრობამაც დაადასტურა.

— ბატონო გაგიკ, სამომავლო გეგმებზეც გვითხარით...

— პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები, განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია, ტროტუარების, ბორდიურების და ბარიერების მოწყობა, ქუჩების ორმული შეკეთება. მოწესრიგდება გარე განათება. აშენდება ახალი სპორტული მოედანი და რემონტი ჩაუტარდება რიტუალების სახლს. ბიუჯეტში გათვალისწინებულია ადგილობრივი კულტურის სახლის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლის ანალოგი არამარტო რეგიონში, მთლიანად ქვეყნის მასშტაბითაც იშვიათად მოიძებნება. ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

სჯობს საქმით ვაჩვენოთ ჩვენი შესაძლებლობები

ამ სოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში, ძირეული პრობლემების მოწესრიგებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური კავშირების მექანიზმების ძიება და მათი სრულყოფა, რაც შესაძლებელს გახდის გამოვლენილ იქნას სახელმწიფოს სრული პოტენციალი. რაც შეეხება საქართველოს, მისი თანამიმდევრული განვითარების პრობლემა უპირველესად დაკავშირებულია ტერიტორიულ ერთეულთა სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის უთანაბრო განვითარებასთან. ასეთ პირობებში აუცილებელია ეკონომიკაზე ახალი, ეფექტიანი მეთოდების ზემოქმედება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია პროგრამულ-მიზნობრივი პროგნოზირება და რეალურ ცხოვრებაში გადმოტანა. ამ მიმართულებით, საქართველოს მთავრობა ცდილობს ყველაფერი იღონოს ქალაქებისა და რაიონების აღორძინება-განვითარების, მათი დეცენტრალიზაციის, ბიზნესპოტენციალის გაზრდის, საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით. პირადად პრემიერ-მინისტრის კონტროლით, ეტაპობრივად მიმდინარეობს ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, წყალმომარაგების, გზების, ადგილობრივი სატრანსპორტო და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონებს შორის განსხვავებების აღმოფხვრასა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირებაში. ამ დღეებში, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა ახალციხე მოწინავე რაიონებს შორის დაასახელა. მან გასული წელი შეაჯამა და ის ქალაქები და გამგეობები გამოყო, სადაც ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ეფექტურად აითვისეს. სასიხარულოა, რომ ახალციხის რაიონი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით. რეალურად ფინანსდება რეგიონული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და წარმოების განვითარება, რაც მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი ზაზა მელიქიძის აზრით, სულ მალე, მკაფიოდ აისახება რეგიონის და ზოგადად ქვეყნის წარმატებებზე.

— ბატონო ზაზა, პრემიერ-მინისტრის შექება დაიმსახურეთ...

— ძალიან სასიხარულოა, როდესაც ქვეყნის პირველი პირისგან ქებას საკუთარი საქმიანობის გამო იმსახურებ. ეს მთელი გუნდის მუშაობის შედეგია. მაქსიმალურად ვცდილობთ გავაქტიურდეთ და კონცენტრირება ყველა იმ პროექტზე მოვახდინოთ, რომელიც დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს. დროულად უნდა გამოვაცხადოთ ტენდერები და ყველა მიმართულებით განვახორციელოთ მონიტორინგი. ჩვენს მუნიციპალიტეტში განსაკუთრებით აღსანიშნავია ინფრასტრუქტურული მიმართულებები. გასულ წელს მოასფალტების სამუშაოები ჩატარდა სოფელ ღრელსა და წყალთბილაში, რაზეც 2 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. წელს უფრო ფართომასშტაბიან პროექტებს ვგეგმავთ. ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდება 4 პროექტი, ანისის, ჭვინთას, სვირის და ზიკილიას მიმართულებით. ამ სოფლებში გზების მშენებლობაზე წელს მილიონ ექვსას ორმოცდაათი ათასი ლარი დაიხარჯება.

— გზების მოწესრიგების გარდა, კიდევ რა საკითხებია დღის წესრიგში?

— საჯუძლიანად მოწესრიგდება მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემა. ამისთვის ინფრასტრუქტურის სამინისტროდან 700 ათასი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაახლოებით 300 ათასი ლარი გამოიყოფა. ჩემი ინიციატივით, ამ დღეებში სოფელ ხეოთში სასმელი წყლის სათავე ნაგებობები მოვინახულეთ. შევისწავლეთ არსებული მდგომარეობა და წყლის დებეტი. აღნიშნული წყაროებიდან სასმელი წყალი სოფელ მუსხსაც უნდა მიეწოდოს, რისთვისაც საჭირო იქნება ორ კილომეტრიანი მაგისტრალური მილსადენის მოწყობა. ამავე პროექტების ფარგლებში მოხდება სოფლების: ჭვინთის, სვირის, ტატანისის, კლდეს, მუსხის, ურავლის, ჭვინთას და ახალშენის სათავე ნაგებობების და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა. გარდა ამისა, ახლახან ტერიტორიული ერთეულებიდან მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მიზნით ახალი ნაგავმზიდი შევიძინეთ. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტს აქამდე მსგავსი ტიპის სპეცტექნიკა არ ჰყავდა და შესაბამისად, მწვავედ იდგა ტერიტორიული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის საკითხი.

— სოფლის მხარდაჭერის პროგრამები როგორ ხორციელდება?

— სოფლის მხარდაჭერის პროგრა-

მის ფარგლებში სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები დასრულების სტადიაშია. უკვე გამოიკვეთა ის ძირითადი პრიორიტეტები, რომელიც ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფლებში უნდა განხორციელდეს. სასმელი და სარწყავი წყალი, გზა, გარეგანათება, სოფლის ამბულატორია და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რომლებიც წელს უნდა განხორციელდეს. პროექტები მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყება და ამავე წლის შემოდგომით დასრულდება. გარდა ამისა, მარტიდან სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება დაიწყო. სიების დახუსტება სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს დაევალათ. მიწების მოხვნის განრიგი უკვე გაწერილია და გადაცემულია შპს „მექანიზატორი"-სათვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აღნიშნული სამუშაოების შესრულება.

— სოციალური მიმართულებით რა ვითარებაა?

— სიახლეები ამ მიმართულებითაც გვაქვს. ცვლილება შევიდა დიალეზზე მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარების საკითხში, ასევე გაიზარდა დედ-მამით ობოლი ბავშვებისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა და გაიზარდა ახალშობილთა ერთჯერადი დაფინანსება, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახებისათვის.

— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?

— მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები ინვესტორებთან მსხვილი ბიზნეს-პროექტების განხორციელების თაობაზე. ამა წლის თებერვალში, ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში ჩვენსა და კომპანია „ბრიტიშ პეტროლიუმის" წარმომადგენლებს შორის მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე კომპანიის წარმომადგენლებმა, სამცხე-ჯავახეთში სამხრეთ-კავკასიური მილსადენის გაფართოების პროექტის პრეზენტაცია გამართეს. პროექტის ფარგლებში იგეგმება, ვალეში არსებულ გაზის სადგურზე მასშტაბური ობიექტის მშენებლობა, რომელიც მილიონობით ინვესტიციას და ასობით სამუშაო ადგილს მოიტანს. გარდა ამისა, დასახულია სხვა პროექტებიც, თუმცა ბევრ ლაპარაკს, სჯობს საქმით ვაჩვენოთ ჩვენი შესაძლებლობები.

— რაც შეეხება კულტურისა და სპორტის განვითარებას?

— ამ დღეებში ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, პირველობაზე ჭადრაკში, შეჯიბრი გაიმართა, რომელიც ჩვენი კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო, და მასში მონაწილეობას ახალციხის მუნიციპალიტეტის თემის 18 მაცხოვრებელი იღებდა. დაძაბული თამაშის შემდეგ, გამოვლინდა სამი გამარჯვებული. პირველი ადგილი წნისის მაცხოვრებელმა ბონდო გოგოლაძემ აიღო, მეორე მიხეილ ინასარიძემ სოფელ ანდრიაწმინდიდან, მესამე კი ილია ზუმბაძემ სოფელ კლდიდან. გამარჯვებულები მედლებით და ფასიანი საჩუქრებით დავაჯილდოვეთ. ამას გარდა, უახლოეს მომავალში იგეგმება ტაიკვანდოს, ძიუდოს და ფეხბურთის სექციების ჩამოყალიბება. რაც შეეხება კულტურის მიმართულებას, ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ქართული პროფესიული თეატრის აღდგენიდან 165 ხოლო მესხეთის (ახალციხის) დრამატული თეატრის დაარსებიდან 140 წლისთავი შესრულდა. ეს მნიშვნელოვანი თარიღები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანადგომით ჩვენს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში მასშტაბური საიუბილეო ღონისძიებებით აღინიშნა.

L.T.D. "MTM"

Leselidze st. L2. N2 Terjola, Georgia
Agmaschenebeli AVE N81. Kutaisi, Georgia

Office: +995 0 790 702 302; +995 (0) 431 25 13 25
Mobile: +995 599 58 77 48

Director
MEVLUD GETSADZE

Email: ltdmtm@gmail.com



შპს „ენერგია“

საქართველო, ბორჯომი, ტელ.: (0367) 22 21 51; 593 27 32 89

- შპს „ენერგია“ მიზნად ისახავს მოსახლეობას შეუდგინოს ელექტროგაყვანილობის სქემები და პროექტები სათანადო გაანგარიშებით. მოახდინოს მონტაჟი უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების გათვალისწინებით;
- მოამზადოს ტექნიკური ექსპლუატაციის წესებში და უსაფრთხოების ტექნიკაში ელექტროდანადგარების მომსახურე პერსონალი;
- ჩაუტაროს ელექტრული გაზომვები ელექტროდანადგარებს და მეხამრიდების დამიწებას;
- შეამოწმოს და დააკომპლექტოს დამცავი საშუალებებით ელექტროგამანაწილებელი მოწყობილობები;
- სკოლების, პროფესიული სასწავლებლების, ინსტიტუტის მოსწავლეებს და სტუდენტებს ჩაუტაროს ექსკურსიები და საწარმოო პრაქტიკა;
- ააშენოს, დაამონტაჟოს 0.4 და 10კვ. ძაბვის ელექტროგადაცემები და განათების ხაზები. სატრანსფორმატორო პუნქტები, შეაკეთოს ძალოვანი ტრანსფორმატორები და შეამოწმოს ზეთის იზოლაციის ხარისხი;

- დაამონტაჟოს და გაწყობის სამუშაოები ჩაუტაროს წყალსაქაჩ სადგურებს და ელექტრო საქვაბეებს;
- განახორციელოს ქუჩის განათების ქსელის და წყალსაქაჩი სადგურების ავტომატურად ჩართვა და გამორთვა;
- დაამონტაჟოს ელექტრომრიცხველები იმ ადგილებში, სადაც წყლის ნაკადულები ჩამოედინება. მიკროჰესები;
- დაამონტაჟოს ქარის და მზის მიკრო ელექტროსადგურები;
- იჯარით აიღოს 0.4-10კვ. ძაბვის გადამცემი ხაზები, სატრანსფორმატორო ქვესადგურები და სადიზელო ელექტროსადგურები;
- მოახდინოს სამედიცინო, რენტგენის და ფიზიო აპარატურის მონტაჟი და შეკეთება, სანტექნიკური სამუშაოები, საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობის, ტელე-რადიო ვიდეო, კომპიუტერული აპარატურის, სააბონენტო სატელეფონო სადგურების მონტაჟი და შეკეთება;
- მოახდინოს ელექტროდანადგარების დაზიანების მიზეზების დაზუსტება, დიაგნოსტიკა და შეიმუშაოს მათი ტექნიკური ექსპლუატაციის ინსტრუქციები და რეკომენდაციები.
- ფირმა სამონტაჟო და სამშეკეთებლო სამუშაოებს აწარმოებს, როგორც საკუთარი ასევე დამკვეთის მასალებით ხელმისაწვდომ ფასებში, როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით.
- ფირმაში გაერთიანებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტები

TAMAR NADIRADZE

MARIGOLD

ქორწილი ქალბატონებისთვის ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს და ამ დღის მთავარი ატრიბუტი - საქორწილო კაბაა. ქართულ ბაზარზე ეს სეგმენტი საკმაოდ გავრცელებულია და დიდი პოპულარობით სარგებლობს, ხოლო ამ სფეროს ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ბრენდი - „მარი-გოლდი“ გახლავთ. კომპანია მომხმარებელს უჩვეულოდ ნაზ და ელეგანტურ სადედოფლო სამოსს სთავაზობს. თითოეული კაბა ინდივიდუალურად უნაკლო და მიმზიდველია, ხოლო ფერისა და სტილის შერჩევაზე დახვეწილი გემოვნების დიზაინერები ზრუნავენ. „მარი-გოლდი“ მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. საქორწილო კაბების გარდა, მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს შეარჩიოს ყოველდღიური, სადღესასწაულო თუ გათანამედროვებული ქართული კაბების სხვადასხვა მოდელი. ბრენდის პროდუქცია საქართველოში იქმნება და კომფორტით, სიმსუბუქით და მაღალი ხარისხით გამოირჩევა. „მარი-გოლდის“ დამფუძნებელი, ქალბატონი **თამარ ნადირაძე** კომპანიის ისტორიაზე და სიახლეებზე გვესაუბრა.

„მარი-გოლდი“ ისტორიად ჩაბეჭდილ ბრენდად იქცევა.



– ქალბატონო თამარ, მოგვიყევით თქვენი საქმიანობის შესახებ.

– ქართული მოდის სფეროში 2008 წლიდან შემოვედით. თავდაუზოგავმა შრომამ და საქმის უსაზღვრო სიყვარულმა ნაყოფი გამოიღო და „მარი-გოლდი“ დღეს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბრენდია. ამჟამად რამდენიმე მიმართულებით ვსაქმიანობთ, გვაქვს, როგორც საქორწილო, ასევე პრეტაპორტე, ყოველდღიური, სადღესასწაულო და გათანამედროვებული ქართული კაბების მრავალფეროვანი არჩევანი. ჩვენი ძირითადი მომხმარებლები ქალბატონები არიან, თუმცა პარალელურად მამაკაცის ხაზზეც ვმუშაობთ და გარდა ამისა, მომხმარებელს მაკიაჟსა და ვარცხნილობას ვთავაზობთ.

- რა განსაზღვრავს თქვენს წარმატებას?

– „მარი-გოლდის“ წარმატებას უმაღლესი ხარისხის პროდუქცია და მთლიანად ეროვნული წარმოება განაპირობებს. დღემდე შექმნილი თითოეული კაბა და მისი ნებისმიერი დეტალი ჩვენი სულის ნაწილია. ვცდილობთ, გათანამედროვებული სამოსით ქართული



სტილი შევინარჩუნოთ, საკუთარ ისტორიასა და კულტურას გავუსვათ ხაზი. შესაბამისად, გვაქვს იმის ამბიცია, რომ ყველაზე დახვეწილი გემოვნების მქონე მომხმარებელს მოვემსახუროთ და მათი მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ, როგორც მაღალი ხარისხით, ისე ინდივიდუალური მიდგომით და კრეატიული აზროვნებით. სწორედ ამ პრინციპებმა დაუმკვიდრა „მარი-გოლდს“ საკუთარი ნიშა ქართული მოდის სფეროში.

— საქართველოს გარდა, არანაკლები წარმატებები გაქვთ უცხოეთშიც...

— წლების მანძილზე, ჩვენი ბრენდი ქვეყნის საზღვრებს გასცდა და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მაღალხარისხოვანი და დახვეწილი სამოსი ევროპელი მომხმარებლის გემოვნებას ბოლომდე აკმაყოფილებს. ქართული კოლექციით უამრავი ქვეყანა მოვიარეთ. ჩვენებები გვქონდა ისრაელსა და სტრასბურგში. რამდენჯერმე მიგვიწვიეს გაეროში, სადაც მოვაწყეთ გათანამედროვებული ქართული სამოსის და ამ თემაზე გამოცემული მაღალპოლიგრაფიული ბუკლეტის პრეზენტაცია, რის საფუძველზეც საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრები გავხდით.



— რა სიახლეებს გვთავაზობს „მარი-გოლდი“ უახლოეს მომავალში?

— სამომავლოდ დიდი გეგმები გვაქვს. ვაპირებთ დავაარსოთ „იმედის სახლი“, რომელიც ხელს შეუწყობს ნიჭიერი ადამიანების აღმოჩენას და მათ დასაქმებას. დარწმუნებული ვარ, ამ წამოწყებას ჩემს გუნდთან ერთად აუცილებლად განვახორციელებ. გარდა ამისა, გავაგრძელებთ ქართული, ტრადიციული გათანამედროვებული სამოსის დახვეწას და მსოფლიოში მის პოპულარიზაციას. საერთაშორისო სავაჭრო პალატის წევრობა ბევრი მიმართულებით გვიხსნის გზას, რაც მომავალში შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენი პროდუქცია უცხოეთში არა მხოლოდ ცალობით გავიტანოთ, არამედ გავხსნათ „მარი-გოლდის“ ბრენდული მაღაზიები, გავზარდოთ გაყიდვების მასშტაბები და მომხმარებელს ჩვენი პროდუქცია უფრო ახლოს გავაცნოთ.

www.marigold.ge
www.facebook.com/georgiamarigold
youtube: georgiamarigold
საპონტაქტო ტელეფონები:
599 56-51-76; 577 56-51-76;
(+995 032) 2 95-29-29
E-mail: nadiradzetamar@yahoo.com

შპს „ჯეოტივი“

ახალციხე, თამარაშვილის ქუჩა №25, ტელ: 599952101



შ.პ.ს „ჯეოტივი“ 2007 წლის 12 დეკემბერს დაარსდა და მისი ხელმძღვანელია, ბატონი **ნუგზარ მამუკაშვილი.**

ფირმა „ჯეოტივის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამგზავრო გადაზიდვები, როგორც რესპუბლიკის, ისე საერთაშორისო მასშტაბით. ფირმის მფლობელობაშია უახლესი მარკის **„TOYOTA“ „MITSUBISHI“ „MERCEDESI“ „IVECO“**-ს მარკის ავტობუსები და მიკროავტობუსები. კომპანია აერთიანებს 95 თანამშრომელს.

შ.პ.ს „ჯეოტივი“ აქტიურად იყო ჩართული 2008 წლის ცნობილ მოვლენებში.

დაარსებიდან 2015 წლამდე, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი აქვს რამდენიმე ასეული ათასი ლარი. აქტიურად თანამშრომლობს რეგიონის მუნიციპალიტეტებთან წვევამდელების გადასაყვანად, აგრეთვე კულტურულ-სპორტული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტირებაში.



ფირმა „ჯეოტივი“აგრეთვე ახორციელებს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო საქმიანობას.

შ.პ.ს „ჯეოტივი“ გთავაზობთ მაღალი ხარისხის მომსახურეობას დაბალ ფასად.

რეისები სრულდება ყოველდღე დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე, როგორც ახალციხიდან თბილისის, ასევე თბილისიდან ახალციხის მიმართულებით.

რეისები თბილისიდან ახალციხის მიმართულებით სრულდება ავტოსადგურ „ოკრიბა“-დან, ხოლო ახალციხიდან თბილისის მიმართულებით, მარშუტები გადიან თანამედროვე კლასის ავტოსადგურ „მგზავრი“-დან.

ფირმა „ჯეოტივის“ მფლობელობაში არსებული ყველა ავტობუსი/მიკროავტობუსი არის წყვილსაბურავიანი და მუშაობს დიზელის საწვავზე, რაც კიდევ ერთხელ მიუნიშნებს უსაფრთხო მგზავრობის გარანტზე აირზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისგან განსხვავებით.

ფირმა იღებს შეკვეთებს ნებისმიერი მიმართულებით.

Ltd ARALI

E-mail: info.arali@gmail.com

შპს არალი

LTD ARALI

შპს არალი

ქ. ახალციხე,
აბასთუმნის გზატკეცილი №3
ტელ. 0356 22 32 69

CAPAROL

კარბონის დათბუნების სისტემა

თბილი. დამაზი. მეღეგი.

CAPAROL CARBON PARTNER